სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

02302602460519

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190525374

რეგისტრაციის თარიღი

13.05.2019 წ

ნოტარიუსი: ნათელა გაგაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ქ. წამებულის N92
ტელეფონი: 2774500;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორი ათას ცხრამეტი წლის ცამეტ მაისს, მე, ნოტარიუსს ნათელა გაგაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ქ.წამებულის №92-ში, პირველ სართულზე, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა, ბატონმა ნოდარი შიშნიაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) დირექტორი, სურს დავალების მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ბატონმა ნოდარი შიშნიაშვილმა (დაბ. 15.04.1949წ. პირადი №13001056572, მცხ.: გურჯაანი, ს. ზემო კაჭრეთში) მომმართა. მე დავადგინე მისი უფლებამოსილება, რომ იგი ნამდვილად არის შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) დირექტორი, თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B18054081, 17/05/2018 11:36:23), რომელიც თან ერთვის ამ მინდობილობის ნოტარიუსთან დაცულ ეგზემპლარს (წესდების ელექტრონული ვერსია ვიხილე საიტზე: www.reestri.gov.ge.). მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოხატვის ნამდვილობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე მას. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას ცხრამეტი წლის ცამეტ მაისს, ბატონი ნოდარი შიშნიაშვილი (დაბ. 15.04.1949წ.), როგორც შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) დირექტორი, რომლის რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ, წინამდებარე მინდობილობით

ბატონ ვლადიმერ გეთიაშვილს (დაბ. 05.01.1982წ. პირადი №01011017822, მცხ.: თბილისი, აწყურის ქ. №23-ში), ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

1. ბატონ ვლადიმერ გეთიაშვილს უფლება აქვს შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) სახელით აწარმოოს ნებისმიერი საფინანსო-ეკონომიკური, საბანკო და სამეწარმეო საქმიანობა, იყოს მისი წარმომადგენელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში (მის ნებისმიერ სამსახურში), გეზ-ში, ნებისმიერ სამინისტროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, იყოს შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) სახელით ნებისმიერ გადამხიდავ კომპანიაში, კერძო და საჯარო პირებთან მიმართებაში. იყოს შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) წარმომადგენელი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მის ნებისმიერ სამსახურში, სანოტარო ბიუროში, საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე ნებისმიერ ბანკში, ნებისმიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში, წარმოადგინოს შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) ინტერესები ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ ორგანოში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, იგი უფლებამოსილია გაყიდოს შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) ნებისმიერი უძრავ-მოძრავი ქონება, ხელი მოაწეროს ნასყიდობის ხელშეკრულებას, შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) სახელით, ყველა ამ შემთხვევაში იგი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) კუთვნილი **უძრავი ქონების,** ღირებულება, მიიღოს ნასყიდობის ფასი. ასევე იგი უფლებამოსილია იპოთეკით დატვირთოს შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონება. ყველა ამ შემთხვევაში იგი უფლებამოსილია თავად განსაზღვროს სესხის ოდენობა, მიიღოს ნასესხები თანხა, შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) სახელით მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი, ხელი მოაწეროს შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) სახელით ყველა საჭირო დოკუმენტს, მათ შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას. იგი უფლებამოსილია იპოთეკისაგან გაათავისუფლოს შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) კუთვნილი ნებისმიერი უძრავი ქონება, იგი ასევე უფლებამოსილია გადაიხადოს ნასესხები თანხა და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებულია აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

2. ბატონი ვლადიმერ გეთიაშვილი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს „თმგ გრუპი“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) ინტერესები ნებისმიერ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციაში, ადმინისტრაციულ ორგანოში, ნებისმიერ არქივში, ნებისმიერ სამინისტროში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, მის ნებისმიერ განყოფილებაში, დეპარტამენტში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, გეზ-ში, ასევე საქართველოში მოქმედ ნებისმიერ ბანკში (მათ შორის სს „საქართველოს ბანკში“, სს “თიბისი ბანკში”, სს “ქართუ ბანკში” და ა.შ.), აწარმოოს ნებისმიერი საბანკო და საფინანსო ოპერაცია (შეიტანოს თანხა, გამოიტანოს თანხა, გახსნას ანგარიში, დახუროს

ანგარიში, მიიღოს თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი სრულად, მიიღოს ნებისმიერი სახის ბარათი, აწარმოოს ნებისმიერი გადარიცხვები, მათ შორის ინტერნეტბანკინგის მეშვეობით, აწვევა უფლება აქვს ჩართოს და მართოს დისტანციური პროდუქტები, შეასრულოს საკრედიტო ოპერაციები, ხელი მოაწეროს საკრედიტო ხელშეკრულებებს, აიღოს ამონაწერი, აწარმოოს გადარიცხვები და ა.შ.), მართოს და განკარგოს შპს „თმგ გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) ანგარიშები (აქტივები, პასივები) და ა.შ.), გადააფორმოს (განაბაჟოს) შპს „თმგ გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) სახელზე შემოსული ტვირთი (საქონელი), მართოს და განკარგოს შპს „თმგ გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) კუთვნილი სალარო აპარატი, მართოს და განკარგოს შპს „თმგ გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) აქტივები (მათ შორის გასხვისების უფლებით), მოახდინოს შპს „თმგ გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) სახელით აქტივების შესყიდვა, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი (დეკლარაცია, განცხადება, მიმართვა, ცნობა, „ინვოისი" და ა.შ), აწარმოოს ჟურნალების რეგისტრაცია, მიიღოს და ჩააბაროს შედარების აქტები, მოაწეროს ხელი შპს „თმგ გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) სახელით, გააფორმოს შრომითი ხელშეკრულებები, მოახდინოს ტვირთის შესყიდვა-შემოტანა-დასაწყობება-გატანა, ტვირთის გადაგზავნა (ექსპორტი, რეექსპორტი) და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად და შპს „თმგ გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე.

3. ბატონი ვლადიმერ გეთიაშვილი უფლებამოსილია შპს „თმგ გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) სახელით შეასრულოს ნებისმიერი სახის მოქმედება, რაც საჭირო გახდება შპს „თმგ გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) სამეწარმეო, საფინანსო-ეკონომიური, საბაჟო და საბანკო საქმიანობისათვის.

4. ბატონი ვლადიმერ გეთიაშვილი უფლებამოსილია იყოს შპს „თმგ გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) წარმომადგენელი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ნებისმიერ მერიაში, წარმოადგინოს შპს „თმგ გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) ინტერესები ნებისმიერ ორგანიზაცია-დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ ორგანოში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში, არქიტექტურის, ეკოლოგიისა და გამწვანების ზედამხედველობისა და კეთილმოწყობის სამსახურებში, ნებისმიერი მერიის ზედამხედველობის სამსახურში, შპს „თმგ გრუპი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206107559) სახელით მიიღოს და ჩააბაროს ყველა საჭირო დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება მშენებლობის ნებისმიერი პროექტის შესათანხმებლად და მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

მინდობილობა გაცემულია შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მიმნდობი პირი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა ამ მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება. გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე მინდობილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მინდობილობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების შესრულება და ამ მინდობილობის მის ხელთ არსებული ყველა ეგზემპლარი დაუბრუნოს მიმნდობ პირს.

მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

გადახდილია სულ: თორმეტი (12,00) ლარი, აქედან: საზღაური – ათი (10,00) ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბრის №507-ს) 31-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და ორი (2.00) ლარი - ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების (2011 წლის 29 დეკემბრის №507-ს) 39-ე მუხლის I პუნქტისა.

მიმნდობი: [illegible]

ნოტარიუსი: ნათელა გაგაძე